დანართი N2

ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ რეგიონში მოქმედი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის მიმართულებით განხორციელებული პროგრამების შესახებ

2014 წელს ქვეპროგრამის **"სასოფლო–სამეურნეო კოოპერატივების შემდგომი განვითარების ხელმწყობი ღონისძიებების განხორციელება"** ფარგლებში აჭარის რეგიონის 11 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიწის ნაკვეთებზე გაშენდა ლურჯი მოცვის, ჩანდლერის კაკლისა და ვაზის სამრეწველო ბაღები სულ 5 ჰა–ზე, ასევე რეგიონის კოოპერატივებს გადაეცათ 7 დანადგარ–მოწყობილობა მათ შორის 4 მანდარინის დამკალიბრებელი დანდგარი და 3 თხილის მობილური გამრჩევი დანადგარი. ქვეპროგრამით მოსარგებლე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებმა სამრეწველო ბაღის გასაშენებლად თავისი თანამონაწილეობის ფარგლებში შეასრულეს მხოლოდ სამრეწველო ბაღის საბოლოო მოწყობასთან დაკავშირებული ფიზიკური სამუშაოები. კერძოდ: ნაკვეთის გაწმენდვა, გასაშენებელი კულტურისათვის ნაკვეთის აგეგმარება, კვლებისა და ორმოების მომზადება–რგვა, ორგანული და მინერალური სასუქების შეტანა, შპალერისათვის საყრდენი და ღობისათვის საჭირო ბოძების შეძენა და მოწყობა.

ცხრილი N1

N	სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი	მისამართი	5000 ვენახის ნერგი, ცალი	700 კაკლის ნერგი, ცალი	3300 მოცვის ნერგი, ცალი	მინერალური სასუქი			120 ტონა ორგანული სასუქი	შპალერის და ეკალ-მავთული		2 კომპ. წვეთოვანი სარწყავი სისტემა	ნიადაგის პლანტაჟი, დახვნა, დაფარცხვის მომსახურეობა		სულ ბაღებზე დაიხარჯა
						NPK – 1600 კგ;	N - 2400 კგ;	P - 600 კგ		1800 კგ. შპალ. მავ	12 000 გრძ/მ ეკალ-მავთ.		ჰა	ლარი	72 000 ლარი
1	გიო	ქობულეთი, სოფ.ხუცუბანი			1650	200	300	300			1200	1	0,5	532	14 465.95
2	თავადი	ხელვაჩაური, სოფ.ხელვაჩაური			1650	200	300	300			1200	1	0,5	528	14 461.95
3	დოვლათი	ქედა, სოფ.ზენდიდი	1250			200	250		15	450	1200		0,5	412	6872
4	პირველები	ქედა, სოფ.პირველი მაისი	1250			200	250		15	450	1200		0,5	406	6866
5	აგროწალკოტი	ქედა, სოფ.წონიარისი	1250			200	250		15	450	1200		0,5	430	6890
6	ნენია	შუახევი, სოფ.ნენია	1250			200	250		15	450	1200		0,5	426	6886
7	მთიელთა გაერთიანება	შუახევი, სოფ.გომარდული		245		150	200		21		1680		0,7	662	4936.8
8	სხალთა 2014	ხულო, სოფ.სხალთა		175		100	200		15		1200		0,5	490	3583
9	ხულო	ხულო, სოფ.დეკანაშვილები		123		60	150		10,5		840		0,35	436	2601.7
10	თეთრათი	ხულო, ღორჯომელაძეები		87		50	150		7,5		600		0,25	320	1904.3
11	გაუ	ხულო, სოფ.ხიხამირი		70		40	100		6		480		0,2	338	1592.2
ჯამი			5000	700	3300	1600	2400	600	120	1800	12000	2	5	4980	

ცხრილი N2

N	სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი	მისამართი	გამგეობის თავჯდომარე	3 ერთეული თხილის მობილური გამრჩევი დანადგარი	4 ერთეული მანდარინის ნაყოფის მობილური დამკალიბრებელი დანადგარი	ერთეულის ღირებულება/ლარი
1	ლეღვა	ქობულეთი, სოფ.ლეღვა	სულიკო ანანიძე	1	1	თხლის გამრჩევი 3000 დამკალიბრებელი 8500
2	ავანგარდი	ქობულეთი, სოფ.ხუცუბანი	თამაზ თხილაიშვილი	1		3000
3	წონიარისი	ქედა, სოფ.წონიარისი	ანზორ გოგიტიძე	1		3000
4	ხალა	ქობულეთი, სოფ.ხალა	მალხაზ დიასამიძე		1	8500
5	მასაურა	ხელვაჩაური, სოფ. მასაურა	რესან ნაგერვაძე		1	8500
6	ჭარნალი	ხელვაჩაური, სოფ. ჭარნალი	რევაზ მიქელაძე		1	8500
ჯამი				3	4	სულ დანადგარებზე დაიხარჯა 43 000 ლარი

2015 წლის ქვეპროგრამის „ფერმერულ მეურნეობებში სასათბურე ტექნოლოგიების დანერგვის გზით მარწყვის კულტურის წარმოების განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში მოეწყო და სრულად აღიჭურვა მარწყვის წარმოებაზე ორიენტირებული 4 ერთეული 200 კვ.მ სათბური. შემდეგ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში: რ.კ მუხაესტატე, რ.კ ქართული სოკო, რ.კ აღორძინება 2015 ქობულეთის მუნიციპალიტეტშიდა რ.კ შოთიკო ქ. ბათუმში

ცხრილი N3

პროგრამის დასახელება	*პროგრამის სახელშეკრულებო ღირებულება*	*ქვეპროგრამით მოწყობილი სათბური*	*ერთი სათბურის ღირებულება*	*ფერმერის გადასახდელი წილი/%*	მუნიციპალიტეტი	
					ქობულეთი	*ქ.ბათუმი*
ქვეპროგრამა: „ფერმერულ მეურნეობებში სასათბურე ტექნოლოგიების დანერგვის გზით მარწყვის კულტურის წარმოების განვითარების ხელშეწყობა“	**101 630**	**4**	***25407,50***	20	3	1

ქვეპროგრამის ფარგლებში სასოფლო-სამეურნო კოოპერატივებისათვის განხორციელდა სათბურისა და შესაბამისი ტექნოლოგიების მიეწოდება, კერძოდ: 1) 200 კვ.მ–იანი სათბურის კონსტრუქცია (პოლიეთილენის ფირით, მულჩფირით, 2 ტონიანი სარწყავი ავზით, წვეთოვანი სარწყავი მილებით, წყლის საქაჩი ტუმბოთი). 2) ორგანული სასუქი (ბიოჰუმუსი); 3) მარწყვის მაღალხარისხიანი ჩითილები; 4) სამაცივრე კამერები.

შესყიდული საქონელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე გადაცემული იქნა თანაგადახდის პრინციპით, ქვეპროგრამის ფარგლებში ღირებულების 20 %-ის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე გადახდის შემდეგ.